შესვენების შემდეგ

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 11 ოქტომბერი. ღრუბლიანი ამინდი. 20 გრადუსი. 35 000 მაყურებელი

“დინამო” (თბილისი) - “ტორპედო” (ქუთაისი) 2:0 (0:0).

გოლები გაიტანეს – მეტრეველმა (27) (11-მეტრიანით) და (82) (ორივე “დინამო”).

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი (რეხვიაშვილი), ხართიშვილი, ილიადი, მეტრეველი, ბარქაია, იამანიძე, დათუნაშვილი.

“ტორპედო”: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე (ებრალიძე), წვერავა, ზარია, ჯანშიევი, ასიტაშვილი, ვეკუა, ხაჟალია, ჩხარტიშვილი, ნოდია.

მსაჯი ნ. კრილოვი, გვერდითი მსაჯები ა. ჩისტოვი და ლ. მოპსიკოვი (ყველა კუიბიშევი).

დუბლიორთა მატჩი მოიგო “ტორპედომ” - 1:0. გოლი გაიტანა – ნაჭყებიამ.

გუშინდელი მატჩის პირველი ტაიმი საოცრად ინერტული და უინტერესო გამოდგა. თითქოს ეს იყო არა “ა” კლასის უძლიერესთა ჯგუფის საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრა, არამედ საწვრთნელი თამაში. პირველი 20 წუთის განმავლობაში არც ერთი გუნდის ფორვარდებს არ დაურტყამთ კარში და ბურთი ორი საჯარიმო მოედნის შუა ტრიალებდა.

მეტი პრეტენზია ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, “დინამოს” დავდამსხმელთა მისამართით გვეთქმის. მათ არც ერთი ხეირიანი კომბინაცია არ გაუთამაშებიათ და მეორე გადაცემის შემდეგ ბურთი, როგორც წესი, მოწინააღმდეგეთა მისამართით იგზავნებოდა. ქუთაისელთა მცველები ფხიზლად მოქმედებდნენ საჯარიმო მოედნის ფარგლებში, არ აძლევდნენ მეტოქეს თავისუფალი მოქმედების საშუალებას, ამიტომ ანგარიში 0:0 მთლიანად შეეფარდებოდა ტაიმის მსვლელობას.

მხოლოდ შესვენების შემდეგ მიეცა მატჩს ასე თუ ისე საინტერესო ბრძოლის ხასიათი და ამაში პირველი სიტყვა დინამოელთა გარემარბებს ეკუთვნით. მეტრეველი და დათუნაშვილი რამდენიმეჯერ ზედიზედ მწვავედ გავიდნენ ფლანგებზე, წინა პოზიციაზე წაიწიეს ნახევარმცველებმაც და კვასხვაძეს მძიმე სამუშაო გაუჩნდა. უნდა ითქვას, მან შეძლო რამდენიმე ძალიან ძნელი ბურთის აღება.

ანგარიში გაიხსნა 53-ე წუთზე. დათუნაშვილისა და ლოსაბერიძის ბრძოლა კარის სიახლოვეს დამთავრდა ამ უკანასკნელის მიერ წესის დარღვევით და მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. იგი ზუსტად გამოიყენა მეტრეველმა - 1:0.

რაც შეეხება მეორე გოლს, რომელიც იმავე მეტრეველმა გაიტანა, ეს უკვე ნამდვილი ოსტატის შემოქმედება იყო. დინამოელთა გარემარბი დრიბლინგით გავიდა მოპირდაპირე მცველებს შორის და დიდის ხელოვნებით შეასრულა დარტყმა შორეულ კუთხეში. მეკარეს ამ შემთხვევაში აღარაფერი შეეძლო...

კ. ყრუაშვილი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
“ლელო”, 12.10.1965.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 12.10.65